

# ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N22

20 დეკემბერი 2019 წ.

## ქ.ლაგოდეხი

**„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №78 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 01/01/2019, 190020020.35.167.016428).

### მუხლი 2

„ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №78 დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კარლო ჯამბურია

დანართი

## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

### თავი I

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

#### მუხლი 1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბალანსი თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი |   |                      | 2018 წლის გეგმა |   |                      | 2019 წლის პროგნოზი |   |                      |
|------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
|            | სულ             | მათ შორის   |                      | სულ             | მათ შორის   |                      | სულ                | მათ შორის   |                      |
|            |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                    | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|            |                 |   |                      |                 |   |                      |                    |   |                      |



|                                 |            |           |            |            |           |            |            |            |            |
|---------------------------------|------------|-----------|------------|------------|-----------|------------|------------|------------|------------|
| შემოსავლები                     | 12,617.146 | 4,577.212 | 8,039.934  | 14,364.351 | 5,276.151 | 9,088.200  | 21,365.733 | 9,888.204  | 11,477.529 |
| გადასახადები                    | 2,100.423  | 0.000     | 2,100.423  | 2,000.000  | 0.000     | 2,000.000  | 10,191.300 | 0.000      | 10,191.300 |
| გრანტები                        | 9,989.012  | 4,577.212 | 5,411.800  | 11,819.151 | 5,276.151 | 6,543.000  | 10,108.204 | 9,888.204  | 220.000    |
| სხვა შემოსავლები                | 527.711    | 0.000     | 527.711    | 545.200    | 0.000     | 545.200    | 1,066.229  | 0.000      | 1,066.229  |
| ხარჯები                         | 6,959.093  | 0.000     | 6,959.093  | 7,478.404  | 25.013    | 7,453.391  | 9,349.873  | 567.605    | 8,782.268  |
| შრომის ანაზღაურება              | 1,332.193  | 0.000     | 1,332.193  | 1,427.232  | 0.000     | 1,427.232  | 1,715.000  | 0.000      | 1,715.000  |
| საქონელი და მომსახურება         | 2,104.564  | 0.000     | 2,104.564  | 1,515.032  | 0.000     | 1,515.032  | 1,985.673  | 567.605    | 1,418.068  |
| პროცენტი                        | 54.133     | 0.000     | 54.133     | 123.300    | 0.000     | 123.300    | 56.500     | 0.000      | 56.500     |
| სუბსიდიები                      | 2,952.642  | 0.000     | 2,952.642  | 3,784.227  | 0.000     | 3,784.227  | 4,722.900  | 0.000      | 4,722.900  |
| გრანტები                        | 12.500     | 0.000     | 12.500     | 13.200     | 0.000     | 13.200     | 40.000     | 0.000      | 40.000     |
| სოციალური უზრუნველყოფა          | 453.585    | 0.000     | 453.585    | 497.400    | 0.000     | 497.400    | 642.800    | 0.000      | 642.800    |
| სხვა ხარჯები                    | 49.475     | 0.000     | 49.475     | 118.013    | 25.013    | 93.000     | 187.000    | 0.000      | 187.000    |
| საოპერაციო სალდო                | 5,658.053  | 4,577.212 | 1,080.841  | 6,885.947  | 5,251.138 | 1,634.809  | 12,015.860 | 9,320.599  | 2,695.261  |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 4,635.161  | 114.892   | 4,520.269  | 8,464.298  | 5,703.730 | 2,760.568  | 16,001.022 | 10,973.385 | 5,027.637  |
| ზრდა                            | 4,678.722  | 114.892   | 4,563.830  | 8,530.798  | 5,703.730 | 2,827.068  | 16,024.922 | 10,973.385 | 5,051.537  |
| კლება                           | 43.561     | 0.000     | 43.561     | 66.500     | 0.000     | 66.500     | 23.900     | 0.000      | 23.900     |
| მთლიანი სალდო                   | 1,022.892  | 4,462.320 | -3,439.428 | -1,578.351 | -452.592  | -1,125.759 | -3,985.162 | -1,652.786 | -2,332.376 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება    | 880.532    | 4,462.320 | -3,581.788 | -1,729.051 | -452.592  | -1,276.459 | -4,204.962 | -1,652.786 | -2,552.176 |
| ზრდა                            | 4,462.320  | 4,462.320 | 0.000      | 0.000      | 0.000     | 0.000      | 0.000      | 0.000      | 0.000      |
| ვალუტა და დეპოზიტები            | 4,462.320  | 4,462.320 |            | 0.000      |           |            | 0.000      |            |            |
| კლება                           | 3,581.788  | 0.000     | 3,581.788  | 1,729.051  | 452.592   | 1,276.459  | 4,204.962  | 1,652.786  | 2,552.176  |
| ვალუტა და დეპოზიტები            |            |           | 3,581.788  | 1,729.051  | 452.592   | 1,276.459  | 4,204.962  | 1,652.786  | 2,552.176  |
| ვალდებულებების ცვლილება         | -142.360   | 0.000     | -142.360   | -150.700   | 0.000     | -150.700   | -219.800   | 0.000      | -219.800   |
| ზრდა                            | 0.000      | 0.000     | 0.000      | 0.000      | 0.000     | 0.000      | 0.000      | 0.000      | 0.000      |
| კლება                           | 142.360    | 0.000     | 142.360    | 150.700    | 0.000     | 150.700    | 219.800    | 0.000      | 219.800    |
| ბალანსი                         | 0.000      | 0.000     | 0.000      | 0.000      | 0.000     | 0.000      | 0.000      | 0.000      | 0.000      |



## მუხლი 2. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| დასახელება                                    | 2017 წლის ფაქტი |   |                      | 2018 წლის გეგმა |   |                      | 2019 წლის პროგნოზი |   |                      |
|---|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
|   | სულ             | მათ შორის   |                      | სულ             | მათ შორის   |                      | სულ                | მათ შორის   |                      |
|   |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                    | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები                                  | 12,660.707      | 4,577.212   | 8,083.495            | 14,430.851      | 5,276.151   | 9,154.700            | 21,389.633         | 9,888.204   | 11,501.429           |
| შემოსავლები                                   | 12,617.146      | 4,577.212   | 8,039.934            | 14,364.351      | 5,276.151   | 9,088.200            | 21,365.733         | 9,888.204   | 11,477.529           |
| არაფინანსური აქტივების კლება                  | 43.561          | 0.000   | 43.561               | 66.500          | 0.000   | 66.500               | 23.900             | 0.000   | 23.900               |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0.000           | 0.000   | 0.000                | 0.000           | 0.000   | 0.000                | 0.000              | 0.000   | 0.000                |
| ვალდებულებების ზრდა                           | 0.000           | 0.000   | 0.000                | 0.000           | 0.000   | 0.000                | 0.000              | 0.000   | 0.000                |
| გადასახდელები                                 | 11,780.175      | 114.892   | 11,665.283           | 16,159.902      | 5,728.743   | 10,431.159           | 25,594.595         | 11,540.990  | 14,053.605           |
| ხარჯები                                       | 6,959.093       | 0.000   | 6,959.093            | 7,478.404       | 25.013  | 7,453.391            | 9,349.873          | 567.605   | 8,782.268            |
| არაფინანსური აქტივების ზრდა                   | 4,678.722       | 114.892   | 4,563.830            | 8,530.798       | 5,703.730   | 2,827.068            | 16,024.922         | 10,973.385  | 5,051.537            |
| ფინანსური აქტივების ზრდა                      | 0.000           | 0.000   | 0.000                | 0.000           | 0.000   | 0.000                | 0.000              | 0.000   | 0.000                |
| ვალდებულებების კლება                          | 142.360         | 0.000   | 142.360              | 150.700         | 0.000   | 150.700              | 219.800            | 0.000   | 219.800              |
| ნაშთის ცვლილება                               | 880.532         | 4,462.320   | -3,581.788           | -1,729.051      | -452.592  | -1,276.459           | -4,204.962         | -1,652.786  | -2,552.176           |

## მუხლი 3. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 21365,733 ათასი ლარის ოდენობით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| დასახელება  | 2017 წლის ფაქტი |   |                      | 2018 წლის გეგმა |   |                      | 2019 წლის პროგნოზი |   |                      |
|-------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
|             | სულ             | მათ შორის   |                      | სულ             | მათ შორის   |                      | სულ                | მათ შორის   |                      |
|             |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                    | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 12,617.146      | 4,577.212   | 8,039.934            | 14,364.351      | 5,276.151   | 9,088.200            | 21,365.733         | 9,888.204   | 11,477.529           |



|                  |           |           |           |            |           |           |            |           |            |
|------------------|-----------|-----------|-----------|------------|-----------|-----------|------------|-----------|------------|
| გადასახადები     | 2,100.423 | 0.000     | 2,100.423 | 2,000.000  | 0.000     | 2,000.000 | 10,191.300 | 0.000     | 10,191.300 |
| გრანტები         | 9,989.012 | 4,577.212 | 5,411.800 | 11,819.151 | 5,276.151 | 6,543.000 | 10,108.204 | 9,888.204 | 220.000    |
| სხვა შემოსავლები | 527.711   | 0.000     | 527.711   | 545.200    | 0.000     | 545.200   | 1,066.229  | 0.000     | 1,066.229  |

#### მუხლი 4. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 10191.300 ათასი ლარის ოდენობით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| დასახელება                                    | 2017 წლის ფაქტი |   |                      | 2018 წლის გეგმა |   |                      | 2019 წლის პროგნოზი |   |                      |
|---|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
|   | სულ             | მათ შორის   |                      | სულ             | მათ შორის   |                      | სულ                | მათ შორის   |                      |
|   |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                    | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები                                  | 2,100.423       | 0.000   | 2,100.423            | 2,000.000       | 0.000   | 2,000.000            | 10,191.300         | 0.000   | 10,191.300           |
| საშემოსავლო გადასახადი                        | 847.175         | 0.000   | 847.175              | 750.000         | 0.000   | 750.000              | 0.000              | 0.000   | 0.000                |
| ქონების გადასახადი                            | 1,253.248       | 0.000   | 1,253.248            | 1,250.000       | 0.000   | 1,250.000            | 1,350.000          | 0.000   | 1,350.000            |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 239.182         | 0.000   | 239.182              | 230.000         | 0.000   | 230.000              | 380.000            | 0.000   | 380.000              |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)         | 4.995           | 0.000   | 4.995                | 0.000           | 0.000   | 0.000                | 0.000              | 0.000   | 0.000                |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე         | 916.155         | 0.000   | 916.155              | 940.000         | 0.000   | 940.000              | 940.000            | 0.000   | 940.000              |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე      | 92.917          | 0.000   | 92.917               | 80.000          | 0.000   | 80.000               | 30.000             | 0.000   | 30.000               |
| სხვა გადასახადები ქონებაზე                    | 0.000           | 0.000   | 0.000                | 0.000           | 0.000   | 0.000                | 0.000              | 0.000   | 0.000                |
| გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე       | 0.000           | 0.000   | 0.000                | 0.000           | 0.000   | 0.000                | 8,841.300          | 0.000   | 8,841.300            |
| სხვა გადასახადები                             | 0.000           | 0.000   | 0.000                | 0.000           | 0.000   | 0.000                | 0.000              | 0.000   | 0.000                |

#### მუხლი 5. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10108.204 ათასი ლარის ოდენობით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| დასახელება | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროგნოზი |
|------------|-----------------|-----------------|--------------------|
|------------|-----------------|-----------------|--------------------|



|   |           |            |            |
|---|-----------|------------|------------|
| გრანტები                                      | 9,989.012 | 11,819.151 | 10,108.204 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი    | 9,989.012 | 11,819.151 | 10,108.204 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები         | 5,411.800 | 6,543.000  | 220.000    |
| გათანაბრებითი ტრანსფერი                       | 5,191.800 | 6,323.000  | 0.000      |
| მიზნობრივი ტრანსფერი                          | 220.000   | 220.000    | 220.000    |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები             | 4,577.212 | 5,276.151  | 9,888.204  |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 3,479.862 | 5,276.151  | 8,958.204  |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა                   | 1,097.350 | 0.000      | 930.000    |
| მფ-ს თანადაფინანსება                          | 0.000     | 0.000      | 0.000      |
| სხვა პროექტები                                | 0.000     | 0.000      | 0.000      |

## მუხლი 6. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1066,229 ათასი ლარის ოდენობით თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| დასახელება  | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროგნოზი |
|---|-----------------|-----------------|--------------------|
| სხვა შემოსავლები  | 527.311         | 545.200         | 1,066.229          |
| შემოსავლები საკუთრებიდან  | 235.351         | 194.700         | 490.500            |
| პროცენტები  | 112.203         | 108.300         | 285.000            |
| რენტა   | 123.148         | 86.400          | 205.500            |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის                                 | 69.259          | 40.000          | 147.000            |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, კირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 53.888          | 46.400          | 58.500             |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია  | 39.442          | 89.100          | 230.729            |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები                                     | 33.408          | 88.100          | 226.329            |
| სანებართვო მოსაკრებელი  | 19.964          | 30.600          | 32.600             |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი                                    | 0.100           | 0.000           | 0.000              |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი                           | 0.000           | 0.000           | 0.000              |



|  |         |         |         |
|--|---------|---------|---------|
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი                                    | 0.000   | 37.500  | 138.529 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 13.344  | 20.000  | 55.200  |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი                              | 0.000   | 0.000   | 0.000   |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება                | 6.034   | 1.000   | 4.400   |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან                               | 6.034   | 1.000   | 4.400   |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები                                 | 244.933 | 223.500 | 312.400 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები                   | 7.585   | 37.900  | 32.600  |

## მუხლი 7. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9349,873 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| დასახელება              | 2017 წლის ფაქტი |   |                      | 2018 წლის გეგმა |   |                      | 2019 წლის პროგნოზი |   |                      |
|-------------------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
|                         | სულ             | მათ შორის   |                      | სულ             | მათ შორის   |                      | სულ                | მათ შორის   |                      |
|                         |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                    | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები                 | 6,959.093       | 0.000   | 6,959.093            | 7,478.404       | 25.013  | 7,453.391            | 9,349.873          | 567.605   | 8,782.268            |
| შრომის ანაზღაურება      | 1,332.193       | 0.000   | 1,332.193            | 1,427.232       | 0.000   | 1,427.232            | 1,715.000          | 0.000   | 1,715.000            |
| საქონელი და მომსახურება | 2,104.564       | 0.000   | 2,104.564            | 1,515.032       | 0.000   | 1,515.032            | 1,985.673          | 567.605   | 1,418.068            |
| პროცენტი                | 54.133          | 0.000   | 54.133               | 123.300         | 0.000   | 123.300              | 56.500             | 0.000   | 56.500               |
| სუბსიდიები              | 2,952.642       | 0.000   | 2,952.642            | 3,784.227       | 0.000   | 3,784.227            | 4,722.900          | 0.000   | 4,722.900            |
| გრანტები                | 12.500          | 0.000   | 12.500               | 13.200          | 0.000   | 13.200               | 40.000             | 0.000   | 40.000               |
| სოციალური უზრუნველყოფა  | 453.585         | 0.000   | 453.585              | 497.400         | 0.000   | 497.400              | 642.800            | 0.000   | 642.800              |
| სხვა ხარჯები            | 49.475          | 0.000   | 49.475               | 118.013         | 25.013  | 93.000               | 187.000            | 0.000   | 187.000              |

## მუხლი 8. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 16001,022 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:



ა) განისაზღვროს ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 16024,922 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| დასახელება  | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროგნოზი |
|---|-----------------|-----------------|--------------------|
| წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება | 186.036         | 263.400         | 361.400            |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება             | 1.137           | 0.000           | 0.000              |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია    | 3,609.273       | 7,750.482       | 10,205.594         |
| განათლება   | 731.117         | 471.916         | 2,805.425          |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი        | 138.212         | 45.000          | 343.146            |
| მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა    | 12.947          | 0.000           | 2,309.357          |
| სულ ჯამი  | 4,678.722       | 8,530.798       | 16,024.922         |

ბ) განისაზღვროს ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 23,900 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| დასახელება                   | 2017 წლის ფაქტი | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროგნოზი |
|------------------------------|-----------------|-----------------|--------------------|
| არაფინანსური აქტივების კლება | 43.561          | 66.500          | 23.900             |
| ძირითადი აქტივები            | 0.000           | 66.500          | 15.900             |
| მატერიალური მარაგები         | 0.000           | 0.000           | 0.000              |
| არაწარმოებული აქტივები       | 43.561          | 0.000           | 8.000              |
| მიწა                         | 43.561          | 0.000           | 8.000              |

**მუხლი 9. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2017 წლის ფაქტი |   |                      | 2018 წლის გეგმა |   |                      | 2019 წლის პროგნოზი |   |                      |
|--------------------|------------|-----------------|---|----------------------|-----------------|---|----------------------|--------------------|---|----------------------|
|                    |            | სულ             | მათ შორის   |                      | სულ             | მათ შორის   |                      | სულ                | მათ შორის   |                      |
|                    |            |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                 | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |                    | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|                    |            |                 |   |                      |                 |   |                      |                    |   |                      |



|       |  |         |       |         |         |         |         |         |         |         |
|-------|--|---------|-------|---------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| 701   | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება   | 2,267.0 | 0.0   | 2,267.0 | 2,509.8 | 0.0     | 2,509.8 | 2,959.3 | 0.0     | 2,959.3 |
| 7011  | ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2,267.0 | 0.0   | 2,267.0 | 2,509.8 | 0.0     | 2,509.8 | 2,882.8 | 0.0     | 2,882.8 |
| 70111 | ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა  | 2,267.0 | 0.0   | 2,267.0 | 2,434.8 | 0.0     | 2,434.8 | 2,802.8 | 0.0     | 2,802.8 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა  | 0.0     | 0.0   | 0.0     | 75.0    | 0.0     | 75.0    | 80.0    | 0.0     | 80.0    |
| 7018  | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში  | 0.0     | 0.0   | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 76.5    | 0.0     | 76.5    |
| 702   | თავდაცვა   | 93.0    | 0.0   | 93.0    | 109.2   | 0.0     | 109.2   | 102.0   | 0.0     | 102.0   |
| 703   | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება  | 0.0     | 0.0   | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
| 7032  | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა  | 0.0     | 0.0   | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     | 0.0     |
| 704   | ეკონომიკური საქმიანობა   | 2,862.5 | 0.0   | 2,862.5 | 6,252.6 | 5,181.3 | 1,071.3 | 7,682.8 | 5,581.3 | 2,101.5 |
| 7042  | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა  | 337.3   | 0.0   | 337.3   | 2,073.6 | 1,776.7 | 296.9   | 1,351.2 | 1,146.6 | 204.7   |
| 70421 | სოფლის მეურნეობა   | 337.3   | 0.0   | 337.3   | 2,073.6 | 1,776.7 | 296.9   | 1,351.2 | 1,146.6 | 204.7   |
| 7045  | ტრანსპორტი   | 2,525.2 | 0.0   | 2,525.2 | 4,179.0 | 3,404.6 | 774.4   | 6,331.6 | 4,434.8 | 1,896.8 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები   | 2,525.2 | 0.0   | 2,525.2 | 4,179.0 | 3,404.6 | 774.4   | 6,331.6 | 4,434.8 | 1,896.8 |
| 705   | გარემოს დაცვა  | 526.5   | 114.9 | 411.6   | 1,377.3 | 0.0     | 1,377.3 | 2,736.1 | 930.0   | 1,806.1 |
| 7051  | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება  | 411.6   | 0.0   | 411.6   | 617.0   | 0.0     | 617.0   | 400.0   | 0.0     | 400.0   |
| 7056  | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში  | 114.9   | 114.9 | 0.0     | 760.3   | 0.0     | 760.3   | 2,336.1 | 930.0   | 1,406.1 |
| 706   | საბინაო-კომუნალური მეურნეობა   | 1,432.7 | 0.0   | 1,432.7 | 1,725.6 | 217.6   | 1,508.0 | 1,727.1 | 127.1   | 1,600.0 |
| 7063  | წყალმომარაგება   | 532.1   | 0.0   | 532.1   | 619.6   | 217.6   | 402.0   | 865.1   | 127.1   | 738.0   |
| 7064  | გარე განათება  | 785.4   | 0.0   | 785.4   | 747.4   | 0.0     | 747.4   | 772.0   | 0.0     | 772.0   |
| 7066  | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში   | 115.2   | 0.0   | 115.2   | 358.6   | 0.0     | 358.6   | 90.0    | 0.0     | 90.0    |





|       |  |          |       |          |          |         |          |          |          |          |
|-------|--|----------|-------|----------|----------|---------|----------|----------|----------|----------|
| 707   | ჯანმრთელობის დაცვა   | 131.2    | 0.0   | 131.2    | 106.0    | 0.0     | 106.0    | 914.4    | 708.0    | 206.4    |
| 7072  | ამბულატორიული მომსახურება  | 0.0      | 0.0   | 0.0      | 0.0      | 0.0     | 0.0      | 771.4    | 708.0    | 63.4     |
| 70721 | ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება                                    | 0.0      | 0.0   | 0.0      | 0.0      | 0.0     | 0.0      | 771.4    | 708.0    | 63.4     |
| 7074  | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება   | 131.2    | 0.0   | 131.2    | 106.0    | 0.0     | 106.0    | 143.0    | 0.0      | 143.0    |
| 708   | დასვენება, კულტურა და რელიგია  | 1,440.1  | 0.0   | 1,440.1  | 1,040.0  | 0.0     | 1,040.0  | 1,552.1  | 0.0      | 1,552.1  |
| 7081  | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში                                   | 1,186.3  | 0.0   | 1,186.3  | 762.2    | 0.0     | 762.2    | 1,288.1  | 0.0      | 1,288.1  |
| 7082  | მომსახურება კულტურის სფეროში   | 221.6    | 0.0   | 221.6    | 234.8    | 0.0     | 234.8    | 194.0    | 0.0      | 194.0    |
| 7083  | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა                              | 0.0      | 0.0   | 0.0      | 0.0      | 0.0     | 0.0      | 0.0      | 0.0      | 0.0      |
| 7084  | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა                            | 30.0     | 0.0   | 30.0     | 30.0     | 0.0     | 30.0     | 30.0     | 0.0      | 30.0     |
| 7086  | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 2.2      | 0.0   | 2.2      | 13.0     | 0.0     | 13.0     | 40.0     | 0.0      | 40.0     |
| 709   | განათლება  | 2,333.8  | 0.0   | 2,333.8  | 2,332.0  | 304.8   | 2,027.2  | 5,442.3  | 2,644.6  | 2,797.7  |
| 7091  | სკოლამდელი აღზრდა  | 2,258.3  | 0.0   | 2,258.3  | 1,850.0  | 0.0     | 1,850.0  | 4,394.7  | 1,597.0  | 2,797.7  |
| 7092  | ზოგადი განათლება   | 0.0      | 0.0   | 0.0      | 471.9    | 304.8   | 167.1    | 1,047.6  | 1,047.6  | 0.0      |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება   | 0.0      | 0.0   | 0.0      | 471.9    | 304.8   | 167.1    | 1,047.6  | 1,047.6  | 0.0      |
| 7093  | პროფესიული განათლება   | 75.5     | 0.0   | 75.5     | 10.1     | 0.0     | 10.1     | 0.0      | 0.0      | 0.0      |
| 710   | სოციალური დაცვა  | 551.1    | 0.0   | 551.1    | 556.6    | 25.0    | 531.6    | 2,258.7  | 1,550.0  | 708.7    |
| 7101  | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა            | 26.7     | 0.0   | 26.7     | 35.9     | 0.0     | 35.9     | 41.9     | 0.0      | 41.9     |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა   | 26.7     | 0.0   | 26.7     | 35.9     | 0.0     | 35.9     | 41.9     | 0.0      | 41.9     |
| 7104  | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა                                       | 114.7    | 0.0   | 114.7    | 115.0    | 0.0     | 115.0    | 109.8    | 0.0      | 109.8    |
| 7107  | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას      | 358.4    | 0.0   | 358.4    | 370.7    | 0.0     | 370.7    | 552.0    | 0.0      | 552.0    |
| 7109  | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში                  | 51.2     | 0.0   | 51.2     | 35.0     | 25.0    | 10.0     | 1,555.0  | 1,550.0  | 5.0      |
|       | სულ  | 11,637.8 | 114.9 | 11,522.9 | 16,009.2 | 5,728.7 | 10,280.5 | 25,374.8 | 11,541.0 | 13,833.8 |



## **მუხლი 10. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -3985,2 ათასი ლარის ოდენობით.

## **მუხლი 11. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 4205,0 ათასი ლარის ოდენობით.

## **მუხლი 12. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -219,8 თასი ლარის ოდენობით.

## **მუხლი 13. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 80.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამის შესაბამისად მერის ბრძანებით და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **თავი II**

### **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები**

## **მუხლი 15. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)**

პრიორიტეტის მიზანია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ პროგრამებს და ქვეპროგრამებს რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს. მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ ერთი მთავრი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ასევე იგეგმება გარკვეული რეფორმები, რომელიც განხორციელდება რამოდენიმე მიმართულებით: 1. ახალი სტრუქტურის, დებულებებისა და სამუშაოთა აღწერილობის შექმნა; 2. მმართველობითი გუნდის მუშაობის შეფასების შიდა და გარე სისტემების შექმნა; 3. მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისას მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნა; 4. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება; 5. ქონების მართვის სისტემის გაუმჯობესება; 6. მიმდინარე პროცესების მართვა და სხვა.

### **15.1. პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება**

სასესხო ვალდებულებების დაფარვა

პროგრამის მიზანი



მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესიო ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა.

## პროგრამის აღწერა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმებული სასესიო ხელშეკრულების შესაბამისად მიღებული სესხების მომსახურება.

### 15.2. პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება

საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება

#### პროგრამის მიზანი

მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა.

#### პროგრამის აღწერა

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმატი და ფინანსური ანგარიშები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც გამოწვეულია თანამშრომლების კვალიფიკაციის არასაკმარისი დონით, აქტივებზე სრულყოფილი ინფორმაციის არ არსებობით. მუნიციპალიტეტში არ არის აქტივების აღრიცხვის ერთიანი სისტემა. საბიუჯეტო პროცესში დაბალია მოსახლეობის ჩართულობის და პროცესების გამჭვირვალობის დონე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის განხორციელდება თანამშრომლების გადამზადება, მოსახლეობაში გამოკითხვების ჩატარება და აქტივების შესახებ სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა, ასევე საერთაშორისო სტანდარტებით საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობის შეფასება, მოსახლეობის ჩართულობისა და გამჭვირვალე პროცესების წარმართვისათვის შეიქმნება და დაინერგება მდგრადი სისტემა.

### მუხლი 16. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის და სოფლების ქუჩების განათება, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა, სოფლებში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

#### 16.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

**პროგრამის მიზანი:** საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

**პროგრამის აღწერა:** მუნიციპალიტეტი გეგმავს გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას რაც ხელს შეუწყობს ქუჩებისა და მაგისტრალის განტვირთვას ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას, გაგრძელდება მუშაობა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მოხდება გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან. ასევე ყურადღება მიექცევა რეაბილიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ შეკეთებებს,

#### 16.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

პროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია-რეაბილიტაციას, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობას, წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციას და გარემოს დაცვითი ღონისძიებებს.



### 16.2.1. წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია

**პროგრამის მიზანი:** წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება.

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების ხელშეწყობა, დაფინანსდება წყლის ჭაბურღილების მშენებლობა და არსებული ჭაბურღილების, წყლის სათავე ნაგებობების და წყლის მაგისტრალების მიმდინარე შეკეთება, გაწმენდა, დაქლორვა და სხვა.

### 16.2.2. გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია

**პროგრამის მიზანი:** გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

**პროგრამის აღწერა:** გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია - დახარჯული ელექტროენერჯიის ღირებულების ანაზღაურება და მოვლა პატრონობის ხარჯები. გარე განათების მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „ლაგოდების სერვის ცენტრი“.

### 16.3. დასუფთავება და გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2019-2022 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლა-პატრონობა, გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა და სხვა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში პოლიტიკას წარმართავს ინფრასტრუქტურის სამსახური, ხოლო აღსრულების კუთხით ჩართულია ა(ა)იპ ლაგოდების სერვის ცენტრი“.

#### 16.3.1. დასუფთავება და ნარჩენების გატანა

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება; დამატებითი ურნებისა და ნაგვის მანქანების შესყიდვა.

#### 16.3.2. მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა

**პროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა

**პროგრამის აღწერა:** პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობა, გარე-იერსახე და მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი. ასევე ხორციელდება ქალაქში არსებული სასაფლაოების, ბაღების, სკვერების მოვლა-პატრონობა; მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბუჩქები, ხე-მცენარეები); მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა, დაზიანებული ხეების მოჭრა-გადაბეღვა და კუნძების ამოღება-გატანა; ზრდასრული ხე-მცენარეების გადარგვა, სარწყავი ქსელების რეკონსტრუქცია და ახლის მოწყობა; სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია; საპარკე ფურნიტურის მონტაჟი სარეკრეაციო ზონებში და სხვა ღონისძიებები.

### მუხლი 17. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)



